ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 248

ქ. ვანი 20.12. 2019 წელი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ვანის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე მარიამ კვინიხიძე (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის მალვინა გოგიძის სახით , გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია:

იმერეთეის მუნიციპალიტეტებს შორის სასკოლო ჩემპიონატში (ინტელექტუალურ თამაში ,,რა, სად, როდის“) გამარჯვებული გუნდებისთვის 3 ცალი სუვენირის შესყიდვა ღირებულებით 55 ლარი CPV18500000

საჭადრაკო ტურნირში მონაწილეებისთვის 8 ცალი პრიზი ღირებულებით 245 ლარი CPV18500000

საახალწლო კონცერტზე მაგიდის მაგიდის ჩოგბურთის რაიონულ ტურნირში გამარჯვებული გოგონათა და ვაჟთა გუნდების წევრებისთვის- სუვენირები 90 ლარი CPV18500000

ფინჯნები 90 ლარი CPV39200000

1.3 ხელშეკრულების ღირებულება 480(ოთხასოთხმოცი) ლარი

CPV18500000 390,00 (სამასოთხმოცდაათი) ლარი.

CPV39200000 90,00 (ოთხმოცდაათი) ლარი

2. საქონლის მიწოდება

2.1 საქონლის მიწოდება 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე.

3.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის, წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ჩაითვლება

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეებ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით

„შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
ვანის მუნიციპალიტეტი	ინდ. მეწარმე მარიამ კვინიხიძე
მის: თავისუფლების ქ. N65	ქუთაისი წერეთლის 4/4ა
ს/კ229653256	ს/კ 60001126235
სახელმწიფო ხაზინა	ა/აGE74TB7550036010100021
TRESEGE22	TBCBGE22
---	---
ალექსანდრე გოგორიშვილი	მარიამ კვინიხიძე

Self Governing Unit Vani Municipality

Digitally signed by Self Governing Unit Vani Municipality
Date: 2019.12.20 15:18:54 +04'00'